ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №01-03-177

ქ. თბილისი

27 სექტემბერი 2018 წელი

შემსყიდველი: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის ფუნქციების დროებით შემსრულებლის **დავით ხვედელიძის** სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ. №4;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22.

მიმწოდებელი: ა(ა)იპ „ბი ჰეფი," წარმოდგენილი მისი დირექტორის **სალომე ბენდიანიშვილის** სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, დიდი დიღმის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N 7, ბინა 32;
საიდენტიფიკაციო კოდი: 405076260;
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი" ბანკი, ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა: GE87TB7469136080100002.

ერთი მხრივ, შემსყიდველი და მეორე მხრივ, მიმწოდებელი ჩატარებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადების ნომერი N SPA180007301) გათვალისწინებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – ვალდებულების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება.

1.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებილების შესრულების ვადების გადაცდენა – მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ლიტერატურული კონკურსის დაჯილდოების ღონისძიების ორგანიზების მომსახურების (CPV 79952000 - ღონისძიების ორგანიზება) შესყიდვა.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;

3.2. შესასყიდი მომსახურების ღირებულება (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება") შეადგენს 29 441.00 (ოცდაცხრაათას ოთხასორმოცდაერთი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;

3.3 გასაწევი მომსახურების დასახელება, ტექნიკური აღწერილობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია დანართ N 1-ში;

3.4 **დაფინანსების წყარო:** სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო, მეთოდური რესურსებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა.

მუხლი 4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი

4.1. მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ გაწეული მომსახურება შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს;

4.2 მიმწოდებელი აცხადებს, რომ შესასყიდი მომსახურება იქნება უნაკლო.

მუხლი 5. შესასყიდი ობიექტის მიწოდების ფორმა, ვადები და ადგილი

5.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება: 2018 წლის 3 ოქტომბერი;
5.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, ვარდების მოედანი, სასტუმრო „RADISSON BLU IVERIA".

მუხლი 6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით;

6.3 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო, საგანმანათლებლო, მეთოდური რესურსებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის მენეჯერს ნატალია ინგოროყვას. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დასკვნა.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
7.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;
7.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას საქმის კურსში ჩააყენოს "მიმწოდებელი" ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
8.1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1 შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;
8.2.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;
8.2.4 მოსთხოვოს მიმწოდებელს გამოვლენილი ნაკლის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა;

8.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

8.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
8.3.2 გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნული მომსახურება შესაბამისი დოკუმენტებით საკუთრებაში;
8.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს შემსყიდველს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
8.3.4 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.3.5 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი ნაკლის/წუნის აღმოფხვრა;

8.4 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.4.1 მოსთხოვოს „შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4.2 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 % -ის ოდენობით;

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) % -ის ოდენობით;

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

9.4. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება;

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი;

10.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის აღმოფხვრა.

10.4 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო, საგანმანათლებლო, მეთოდური რესურსებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ჟურნალ „მასწავლებლისა" და ინტერნეტგაზეთ „mastsavlebeli.ge"- ს ტექსტების რედაქტორი მანანა ბოჭორიშვილი, რომელიც წერს დასკვნას ხელშეკრულების პირობებთან შესყიდვის საგნის შესაბამისობის შესახებ.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე არაუმცირეს ერთი თვით ადრე;

11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
11.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.5 ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;
12.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობითი სახით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;
12.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 13. ფორსმაჟორი.

13.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;
13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;
13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;
15.2 თუ „შემსყიდველი” და „მიმწოდებელი” მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.3 მესამე პირთან (პირებთან) ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

16.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

16.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე სიტყვიერ დამატებას;

16.6 ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მხოლოდ მასთან ერთად;

16.7 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

16.8 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

16.9 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. 1(ერთი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს;

16.10 გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადება და დანართი თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს;

16.11 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 18. მხარეთა ხელმოწერები

„შემსყიდველი"

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი

დავით ხვედელიძე
დირექტორის ფუნქციების დროებითი
შემსრულებელი

„მიმწოდებელი"

ა(ა)იპ „ბი ჰეფი"

სალომე ბენდიანიშვილი
დირექტორი

მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

ვიზუალები, დეკორაციები, სცენა, დაბაზი, ლოკაცია

N	დასახელება	ტექნიკური აღწერილობა	რაოდენობა	განზომილების ერთეული	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	ბანერი	ზომა: (დამზადებამდე უნდა გაიზომოს ლოკაცია და დაზუსტდეს ზომები მომსახურების მიმწოდებლის მიერ, სავარაუდო ზომები: 3/4 მ.) ბანერის მასალის ხარისხი მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მცირე ელექტრონული ნიმუშის სახით (ბეჭდვა CMYK 4-0); დიზაინის დამზადებისას სავალდებულოა სხვადასხვა ვერსიების ელექტრონულად წარმოდგენა შემსყიდველისთვის და საბოლოო ვერსიის შერჩევა მასთან შეთანხმებით.	1	ცალი	711	711
2	LED ეკრანი	სასურველილა ზომა 6/6 მ, ეკრანი დატვირთული იქნება ლოგოს გრაფიკული ანიმაციით, თანმდევი მომსახურება: ეკრანის მართვისთვის საჭირო ადამიანური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ხარისხიან გამოსახულებას, ისე ვიდეომასალებისა და ვიზუალების წინასწარ შედგენილი სცენარის მიხედვით გაშვებას;	36	კვ.მ	300	10800
3	სცენა	სასურველია ზომა: 6/6 მ-ზე, სიმაღლე: მინიმუმ 40სმ, მაქსიმუმ 60 სმ. საფარი: რბილი, რუხი ან შავი ფერის; (სცენის ზომა შეიძლება შეიცვალოს ბანერის დაზუსტებული ზომების შესაბამისად) სცენაზე ასევე უნდა დაიდგას მაგიდა ბრენდირებული, ცენტრის და ჟურნალ მასწავლებლის ლოგოთი, ჯილდოს , საჩუქრების და დიპლომების განსათავსებლად. სტიკერის ზომები დადგინდება ლოკაციის ადგილის მიხედვით.	36	კვ.მ	100	3600
4	დეკორატიული განათება ბანერისთვის	ბანერის განათების მიზნით, ბანერის ქვედა კიდეზე უნდა დამაგრდეს მცირე ზომის დეკორატიული განათებები. განათებების ტიპი (ზომა და ფერი) შეიძლება შერჩეული იყოს შემსყიდველისა და მიმწოდებლის შეთანხმებით;	6	ცალი	130	780
5	მიკროფობი სადგამით. (შტატივით) wireless	მიკროფონი, რომელიც მიერთებული იქნება გახმოვანების ცენტრალურ სისტემაზე;	2	ცალი	100	200
6	გიფერი	ფოტოგადაღება GIF-ის აპარატით: მომსახურების ხანგრძლივობა 3 საათი მომსახურებაში უნდა შედიოდეს: ფოტოს ჩარჩოს ბრენდირება;	1	ცალი	1200	1200

7	მემოგრამის ფოტო აპარატით მომსახურება	მომსახურების ხანგრძლივობა 3 საათი. მომსახურებაში უნდა შედიოდეს: ფოტოს ჩარჩოს ბრენდირება; აპარატის ტრანსპორტირება (თბილისი, მემოგრამის ფოტოს შეუზღუდავი რაოდენობით გადაღება და არანაკლებ 100 ფოტოს ბეჭდვა;	1	ცალი	900	900
8	აუდიო სისტემის მართვის ჯგუფი	საკვალიფიკაციო მოთხოვნები: აღნიშნული სისტემის მართვის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება; გახმოვანება: აღჭურვილი უნდა იყოს ყველა იმ ტექნიკით რაც საჭიროა შეუფერხებლად მუშაობისთვის, მათ შორის იგულისხმება დინამიკები რაოდენობა საჭროებისამებრ საკონფერენციო ოთახის ზომის მიხედვით. (უნდა მოხდეს ციფრული ხმის მიწოდება, როგორც ვიდეო გადაღებისთვის ასევე livestream-ისთვის) **აუდიო სისტემა:** მიქშერი - 1; ხმის გამაძლიერებელი დინამიკი - 2; ჟურნალისტებისთვის ხმის ასაღებად დინამიკი - 1; კონდენსატორული მიკროფონი სადგამებით - მინიმუმ 6; უკაბელო მიკროფონი - 3, მიკროფონის სადგამი (შტატივი) - 1;	1 ან 2 (საჭიროებისამებრ)	ცალი	1000	1000
9	ფოტოგრაფი	ფოტო გადაღება შემდეგი პირობებით: ღონისძიების გადაღება პროფესიონალური Full Frame კამერით. კამერა უნდა იყოს აღჭურვილი ხელოვნური განათებით, ფოტო კამერას უნდა ახლდეს ობიექტივები, მათ შორის ფართე კუთხიანი და ტელეობიექტივი. ჯამში არანაკლებ 200 ფოტო (უმაღლესი ხარისხით). მიმწოდებელმა შემსყიდველს ღონისძიების მსვლელობისას უნდა გადასცეს არანაკლებ 50 ფოტო სოციალურ ქსელში განსათავსებლად. გადაღებული სრული მასალის მოწოდება უნდა ღონისძიებიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში	1	ცალი	1000	1000
10	ბრენდირებული მაგიდა	ბრენდირებული მაგიდა დამზადებული ლამინატის მასალისგან, კუბის ფორმის. ზომები: სიმაღლე 1,5 მ, სიგანე 1 მეტრი. მაგიდის მთლიანი პერიმეტრი ზევიდან და გვერდებიდან უნდა იყოს ბრენდირებული სტთ დიზანის ერთიანი კონცეფციის მიხედვით. დიზაინის შესრულება უნდა განახორციელოს მომწოდებელმა.	1	ცალი	600	600
					სულ	20791

ტექნიკური

N	დასახელება	ტექნიკური აღწერილობა	რაოდენობა	განზომილების ერთეული	ერთეულის ფასი	საერთო ფასი

1	განათება	განათება შემდეგი პირობებით: ღონისძიების სცენის განათება/მინათება ცენტრალურ დარბაზში (სცენის სატელევიზიო განათება არანაკლებ 2 კილოვატი) განათება უნდა იყოს თეთრი	6	ცალი	200	1200
					სულ	1200

ფურშეტი

N	დასახელება	ტექნიკური აღწერილობა	რაოდენობა	განზომილების ერთეული	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	დესერტი	ნამცხვარი 5 სახეობის, მათ შორის ერთ-ერთი სახეობა უნდა იყოს "მაკარუნი" მაკარუნის ფერი დაზუსტდება, ჩისქეიქი, ბარუნი, პანაკოტა , ვაშლის შტრუდელი (სულ 1000 ცალი)	1000	ცალი	2	2000
2	კოქტეილის მაგიდები	მაგიდა არანაკლებ 120 სმ სიმაღლისა/ ქსოვილის გადასაფარებლით; მაგიდაზე უნდა იყოს ცოცხალი ყვავილების თაიგულები, დამკვეთან შეთანხმებით (ყველა მაგიდაზე).თაიგული 5 სახის ყვალივისგან უნდა შედგებოდეს. მასში მათ შორის უნდა იყოს ბრენდირების შესაბამისი ერთი ფერის / ერთი სახეობის ყვავილი. ფერი დაზუსტდება. თაიგულების რაოდენობა 20 ცალი.	20	ცალი	90	1800
					სულ	3800

სასმელი

N	დასახელება	ტექნიკური აღწერილობა	რაოდენობა	განზომილების ერთეული	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	ღვინო თეთრი	დაფასოებული 0.75 ლ. ტევადობის შუშის ბოთლში	15		10	150
2	ღვინო წითელი	დაფასოებული 0.75 ლ. ტევადობის შუშის ბოთლში	15		10	150
3	შამპანური როზე	დაფასოებული 0.75 ლ. ტევადობის შუშის ბოთლში	15		10	150
4	შამპანური თეთრი	დაფასოებული 0.75 ლ. ტევადობის შუშის ბოთლში	15		20	300
5	სასმელი წყალი	დაფასოებული 0.5 ლიტრიანი ტევადობის პლასტმასის ჭურჭელში	100		1	100
6	ნატურალური წვენი	სამი სახეობის სულ 50 ლიტრი	50		8	400
7	კოქტეილი	კოქტეული სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის შექმნილი. კოქტეული უნდა შეიიცავდეს ალკოჰოლურ სასმელს, ტონიკს და ნატურალურ წვენს, ასევე რაიმე დანამატს (ნატურალუსრ), რომელიც მისცემს კონკრეტულს ფერს ბრენდირების ერთიანი კონცეფციის მიხედვით.	200		5	1000
8	მიმტანის მომსახურება	მიმტანებმა სინით ხელში უნდა შესთავაზონ სტუმრებს სასმელები და ტკბილეული	10		100	1000

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლს (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) და ხელისმოწერით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებლის მიმართ (ა(ა)იპ „ბი ეფი") არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

დირექტორის ფუნქციების დროებითი შემსრულებელი

_____ /დავით ხვედელიძე/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

საინფორმაციო, საგანმანათლებლო, მეთოდური რესურსებით უზრუნველყოფის

ქვეპროგრამის მენეჯერი _____ /ნატალია ინგოროყვა/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

საინფორმაციო, საგანმანათლებლო, მეთოდური რესურსებით უზრუნველყოფის

ქვეპროგრამის ჟურნალ „მასწავლებლისა" და ინტერნეტგაზეთ "mastsavlebeli.ge"-ს

ტექსტების რედაქტორი _____ / მანანა ბოჭორიშვილი/

ვიზირება:

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის

უფროსი _____ /ია ძებისაური/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის შესყიდვების

ჯგუფის უფროსი _____ /ნიკო გიგოლაშვილი/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის

ბუღალტერი _____ /ირმა თირქია/

შემსრულებელი

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის შესყიდვების

სპეციალისტი _____ /ირინე სადრაძე/